ეროვნული ბიბლიოთეკა

# 14

დეკემბერი | DECEMBER 2013

შაბათი | SATURDAY

**19.30**





## რევაზ ჯავახიშვილი
REVAZ JAVAKHISHVILI



## ცოტნე ცოცხალაშვილი
TSOTNE TSOTSKHALASHVILI

## სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი
GEORGIA NATIONAL PHILHARMONIC

RADIO MUZA

FM 102.4

106.9 FM FORTUNA

აფხაზეთის ხმა
FMABKHAZIA.COM

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რევაზ ჯავახიშვილი
## Revaz Javakhishvili

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი პროფ. გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით. სწავლის პარალელურად მუშაობდა ნიკო სულხანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო კაპელაში მომღერლად და ასისტენტ ქორმაისტერად. სწავლის დამთავრებისთანავე დაინიშნა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ ქორმაისტერად. მოგვიანებით კი - ამავე თეატრისა და მუსიკალური დარბაზის სამხატვრო ხელმძღვანელად და ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად.
არის პოლონეთის ქალაქ პოზნანის მერიის სტიპენდიანტი და გავლილი აქვს სტაჟირება მონიუშკოს სახელობის პოზნანის დიდ საოპერო თეატრში ნოვაკოვსკის ხელმძღვანელობით. მონაწილეობს საერთაშორისო მასტერკლასებში ჟენევასა და მილანში, დირიჟორებთან - დანიელ აგიმანი და მაურიციო არენა. 2012 წლის აგვისტოში რევაზმა აიმაღლა კვალიფიკაცია ქ. სიენას კიჯის აკადემიაში ჯანლუიჯი ჯელმეტის ხელმძღვანელობით.
2013 წლის ზაფხულში ესტონეთში, კუნძულ საარემაზე მონაწილეობდა საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე Saarema Opera Days, სადაც იდირიჟორა ქუთაისის და თბილისის საოპერო თეატრების ერთობლივი სპექტაკლი - პუჩინის „მადამ ბატერფლაი".
რევაზ ჯავახიშვილი თანამშრომლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან, ბათუმის მუსიკალურ ცენტრთან და საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრ „საქართველოს სინფონიეტასთან". მის რეპერტუარშია ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ კომპოზიტორთა საოპერო და სიმფონიური მუსიკის შედევრები.

Graduated from Tbilisi State Conservatoire Choir-Conducting Department, class of Prof. Givi Munjishvili. At the same time he was the member of Niko Sulkhanishvili Georgia State Choir as well as an assistant choirmaster. After his studies he was appointed as a Principal Choirmaster of Kutaisi Opera and Ballet Theatre; later, as an Artistic Director of the same Theatre and Music Hall, as well as Principal Conductor of Kutaisi State Symphony Orchestra.
Revaz is scholarship owner of Poznan City Hall in Poland, and has passed internship with Poznan Opera Theatre metre Nowakovsky. He participates in the international master classes Assoziazione Spazio Musica in Genova and Milan with the conductors - Daniele Agiman and Maurizio Arena. In 2012 Revaz participated in the master classes in Siena, Accademia Musicale Chigiana with Prof. Gianluigi Gelmetti.
In 2013 he conducted Puchini "Madam Butterfly" in Estonia „Saarema Opera Days" with Kutaisi and Tbilisi Opera Theatres joint production.
Revaz Javakhishvili cooperates with the Tbilisi Opera and Ballet Theatre, Georgian National Philharmonic, Batumi Music Center and State Chamber Orchestra "Georgian Sinfonietta". He performs opera and symphonic masterpieces of Georgian, Russian and European composers.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ცოტნე ცოცხალაშვილი
## Tsotne Tsotskhalashvili

მუსიკის სწავლა თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში „ნიჭიერი ათწლედი" დაიწყო. 2002 წლიდან გახლავთ მრავალი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი. მათ შორისაა: რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის სტიპენდია, კულტურის სამინისტროს I პრემია „კლასიკური ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის", I პრემია ბოსტონის Peabody Mason საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე.
მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში, მასტერკლასებსა და კონკურსებში: „მოსკოვი ხვდება მეგობრებს" ვლადიმირ სპივაკოვის ხელმძღვანელობით; პროფ. ჰანს იურგ შტრუბის მასტერკლასებში, რასაც მოჰყვა კონცერტი მიუნჰენში; ფესტივალი „შემოდგომის თბილისის" გახსნითი კონცერტი, სადაც ცოტნე თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.
ჩატარებული აქვს საქველმოქმედო კონცერტები ვილნიუსსა და კაუნასში. 2013 წელს მისი შესრულებით გამოიცემა შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც ცოტნემ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაწერა დოქტორ ჰარისონ გრედველ სლეტერის დირიჟორობით. გასულ წელს ახალგაზრდა პიანისტს ჰქონდა გამოსვლა New England Conservatory-ის ფილარმონიულ ორკესტრთან ენდრიუ ლიტონის დირიჟორობით.
დღეისათვის ცოტნე სწავლობს New England Conservatory-ში ალექსანდრე კორსანტიას ხელმძღვანელობით. 2013 წლის ოქტომბერში მუსიკოსმა მიიღო II პრემია თბილისის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე.

He has began to study music in 1998 at the Tbilisi (Georgia) Central Music School. Since 2002 he has been the recipient of numerous prestigious awards and prizes. These include a scholarship from the Russian Performance Art Foundation, first prize from the Ministry of Culture for "the Best Performance of the Classical Music", and first prize from the Peabody Mason International Piano Competition in Boston. Mr. Tsotskhalashvili has participated in many international festivals, masterclasses and competitions including "Moscow Meets Friends" under the direction of Vladimir Spivakov, master classes with Prof. Hans-Jürg Strub followed by a concert in Munich, Germany, and the opening concert of the "Autumn in Tbilisi Festival" where he performed the Chopin Piano Concerto in F minor with Tbilisi Symphony Orchestra, conducted by Vakhtang Kakhidze.

Tsotne has performed several charity concerts in Vilnius and Kaunas. In the beginning of 2012 he recorded the Chopin Piano Concerto in F minor with Georgia National Philharmonic conducted by Dr. Harrison Gradwell Slater. The recording will be released in 2013. In December 12, 2012 Tsotskhalashvili performed Rachmaninoff's Second Piano Concerto with New England Conservatory Philharmonic Orchestra, conducted by the guest conductor Andrew Litton. Tsotne Tsotskhalashvili is a 1st year MM student at NEC, studying with Alexander Korsantia. Tsotne received II prize in Tbilisi International Piano Competition in October 2013.

ი 27/366 PP 2197
ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროგრამა
# PROGRAM

**ჯუზეპე ვერდი (200):**
უვერტიურები ოპერებიდან:
Nabucco, La Traviata, Giovanna D'Arco, Aida, Aroldo, I Vespri Siciliani

**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი:**
უვერტიურა ოპერიდან La Clemenza Di Tito
კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის
N20 D minor, K.466

**Giuseppe Verdi (200):**
Overtures from the Operas:
Nabucco, La Traviata, Giovanna D'Arco, Aida, Aroldo, I Vespri Siciliani

**Wolfgang Amadeus Mozart:**
Overture from the Opera La Clemenza Di Tito
Concert for Piano and Orchestra
N20 D minor, K.466